



### საკორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 1 თებერვალი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: „სასტუმრო იოტა თბილისი“

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ქალი და ბიზნესი
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
6. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
8. ვლადიმერ ბოჟაძე - სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
9. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
10. ვიტალი გიორგაძე - საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი

## განსახილველი საკითხები

- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის შეხვედრის შედეგები
- ყოველწლიური საერთო კრება
- წესდებასთან დაკავშირებული ცვლილებები
- ახალი წევრების მიღება
- და სხვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო განსახილველი საკითხი.

საბჭომ იმსჯელა წესდებაში შესატანი ცვლილებებზე. მათ თანმიმდევრულად განიხილეს წესდების ყველა პუნქტი, არგუმენტირებული მსჯელობის შედეგად საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა შეთანხმების საფუძველზე განახორციელეს ცვლილებები წესდებაში<sup>1</sup>.

საბჭოს წევრებმა განიხილეს როგორც წესდებაში შესატანი ცვლილებების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე არსებული პუნქტების ცვლილების ან/და ამოღების საჭიროება.

შეხვედრის მიმდინარეობისას დამსწრეებმა საერთო კრების ჩატარების თარიღად განსაზღვრეს მარტის თვის პირველი ნახევარი.

სამსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა. საკოორდინაციო საბჭომ ჩაინიშნა შემდეგი შეხვედრის თარიღი და დრო.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე

---